ხაშურის მოამბე

№25(398) 10 ივლისი, ორშაბათი, 2023 წელი

მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა

6 ივლისს, ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულომ, ნინო ლიპარტელიანის თავმჯდომარეობით, მორიგი სხდომა გამართა.

საკრებულომ იმსჯელა დღის წესრიგით გათვალიწინებულ 7 საკითხზე.

საკრებულოს პროექტები მერიის სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელებმა წარუდგინეს.

საკითხები ერთხმად იქნა მხარდაჭერილი.

სხდომამ, აგრეთვე, მოისმინა და დადებითად შეაფასა ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ა(ა)იპ „საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის“ მიერ 2022 წელს გაწეული მუშაობის ანგარიში, (იხ. II გვ.) რომელზეც ვრცლად ისაუბრა ცენტრის დირექტორმა დავით ჩიქოვანმა.

გაწეული მუშაობა საკრებულოს წევრებმა დადებითად შეაფასეს.

ხაშურის მუნიციპალიტეტში საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტის შემუშავებასთან დაკავშირებული მორიგი შეხვედრა გაიმართა.

დოკუმენტის მომზადებაზე მომუშავე ჯგუფის წევრები, USAID ძლიერი სოფლის პროგრამის ექსპერტ შოთა მურღულიას შეხვდნენ და საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტის ძირითადი საკითხები მიმოიხილეს.

USAID-ის ძლიერი სოფლის პროგრამის მიზანია ხელი შეუწყოს ხაშურის მუნიციპალიტეტის სტაბილურ სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას, რაც პოზიტიურად აისახება მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოქალაქეების ყოველდღიურ ყოფაზე.

თანამშრომლობის ფარგლებში, პროგრამა ხაშურის მუნიციპალიტეტს სრულყოფილი მუნიციპალური განვითარების სტრატეგიის შემუშავებაში დაეხმარება და მხარს დაუჭერს რეგიონის გაძლიერებას,როგორც სხვადასხვა მიმართულებებში, ასევე, სამომავლო რისკებთან გამკლავებაში.

საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტის მომზადების სამუშაო ჯგუფი აერთიანებს მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და მერიის წარმომადგენლებს, სკოლების ხელმძღვანელებს, მცირე და საშუალო მეწარმეებს, სოფლის მეურნეობის საკონსულტაციო ცენტრის, სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებს.

ზემო სერის ტყე-პარკის მშენებლობა აქტიურ ფაზაშია

ზემო სერის ტყე-პარკის მშენებლობის სამუშაოების ფარგლებში მოეწყო გარე განათებები, ფანჩატურები, სარბენი და ველო ბილიკები, დამონტაჟდა სხვადასხვა ტიპის დასასვენებელი სკამები, მაგიდები და ნარჩენებისთვის განკუთვნილი ურნები.

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერის თენგიზ ჩიტიაშვილის განმარტებით, პროექტი ძველის და ახლის სინთეზს წარმოადგენს, სივრცე თანამედროვე სტილში მოეწყობა, თუმცა,განახლდება ამფითეატრი, აღდგება მცირე საკალათბურთო ტერიტორია. პროექტის ფარგლებში, მოეწყობა სკეიტბორდის

მოედანი. იქნება უამრავი სიახლე, რაც ხაშურელი მოსახლეობისთვის სასიამოვნო იქნება და ისინი რეაბილიტირებულ ტყე-პარკში კომფორტულად დასვენებას შეძლებენ.

ტრენინგი სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების პედაგოგებისთის

ხაშურის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების აღმზრდელთათვის მიმდინარეობს აღმზრდელ-პედაგოგთა პროფესიული გადამზადების 66 საათიანი ტრენინგ-მოდული, რომელსაც უძღვება ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი ხათუნა დოლიძე.

პროგრამის მიმდინარეობას გაეცნო ხაშურის მუნიციპალიტეტის მერი თენგიზ ჩიტიაშვილი. მან მხარდაჭერა გამოუცხადა და წარმატებები უსურვა საბავშვო ბაღების გაერთიანების ხელმძღვანელ ლელა გელაშვილს და ტრენინგის თითოეულ მონაწილეს.

მოდულის წარმატებით დაძლევის შემთხვევაში, აღმზრდელებს აღმზრდელ-პედაგოგის სტატუსი მიენიჭებათ.

აიპ „ხაშურის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის“ მიერ 2022 წელს გაწეული მუშაობის ანგარიში

1. ხაშურის მუნიციპალიტეტის მერის 2021 წლის დეკემბრის ბრძანებით, ხაშურის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის 2022წლის მუნიციპალური პროგრამაში შედიოდა.

- ეპიდემიოლოგიური სიტუაციის მართვა და მონიტორინგი.
- იმუნიზაციის მართვა და მონიტორინგი.
- პარაზიტული დაავადებების (ჰელმინთების..) სკრინინგული კვლევები
- ცოფის (ჰიდროფობიის) პრევენცია.
- სახელმწიფო დაწესებულებების (სკოლები ,ბაგა-ბაღები ..) სანიტარულ-ჰიგიენური კონტროლი.
- მოსახლეობის ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების ხელშეწყობა

2.დაავადებათა კონტროლის და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის პროგრამების განხორციელება:

- HCV (ც ჰეპატიტი), IV(შიდსი) და TB(ტუბერკულოზი) სკრინინგი.
- ც ჰეპატიტის მიდევნების პროგრამა
- კოვიდ-19 სკრინინგი.
- საზოგადოებრივი დანიშნულების ობიექტების (სალონები) სანიტარულ-ჰიგიენური კონტროლი.
- ვერბალური აუტოფსია.
- თამბაქოს ჩარჩო ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოწევის და რეალიზაციის მონიტორინგი.

გამომდინარე მსოფლიო პანდემიიდან და საქართველოში შექმნილი ეპიდსიტუაციიდან, მოხდა გარკვეული ღონისძიებების რეგლამენტის ცვლილება:

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, აღნიშნულ პერიოდში, სხვა ინფექციების მხრივ ეპიდსიტუაცია დამაკმაყოფილებელია. დაფიქსირდა შემდეგი ინფექციები: ჰეპატიტი „ბ”- 4(7), ჰეპატიტი „ც”—63(68). ბაქტერიული მენინგიტი---1(1) ჩუტყვავილა—67(16), ქუნთრუშა-2(1),სავარაუდო საკვებისმიერი მოშხამვა--611(737), სოკოთი მოშხამვა--9(0) სავარაუდო დიარეული დაავადება-374(106) , ბრუცელოზი--3(0), ბორელიოზი--5(0), ნოზოკომიური პნევმონია--23(1). ტუბერკულოზი 11(10), ყირიმ კონგო--3(4),სიფილისი-1(მ.შ. -1 ორსულებში)(1),ყველა შემთხვევაზე ჩატარებულია ეპიდემიოლოგიურ კვლევები ბრძანება №55/ო-ს შესაბამისად.

ცხოველების მიერ დაზარალებულ პირთა რაოდენობა საანგარიშო პერიოდში დაფიქსირდა 623(652-2021წ), მათ შორის: შინაური ცხოველი--296(286) მშ-ძაღლი-175,კატა-95, სხვა-24 მოხეტიალე--327(366)მშ. 215(204)ძაღლი, 89(78)-კატა, 23-სხვა). ყველა მათგანს ჩაუტარდა ანტირაბიული აცრების შესაბამისი (პირობითი ან სრული) კურსი . გაიხარჯა 1800 ანტირაბიული ვაქცინა და 79 იმუნოგლობულინი. 182(189) პირმა არ დაასრულა-შეწყვიტა ვაქცინაცია . ყველა შემთხვევა ეცნობა სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ადგილობრივ სამსახურს ცხოველებში ეპიდკვლევების ჩასატარებლად. საანგარიშო პერიოდში ანტირაბიული კაბინეტი მომარაგებული იყო ანტირაბიული ვაქცინისა და იმუნოგლობულინის საკმარისი რაოდენობით, ასევე ადგილზე გვაქვს სპეციფიკური შრატების და ვაქცინების სტრატეგიული მარაგები.

იმუნიზაციის სახელმწიფო პროგრამით ჩატარებული აცრების რაოდენობა---6107 (მ.შ. გეგმიური--5580,არაგეგმიური--527): ჰექსა-1369(90%); წწყ-976 (1-93%.2-79%); როტა-719(69%). პნევმო-1358 (87%),გარდასილი--354 ტდ--347 (51%) ვაქსიგრიპი—1607. იმუნიზაციის მაჩვენებლები რამდენიმე ვაქცინის შემთხვევაში ვერ უტოლდება მოცვის მაჩვენებლებს, რის მიზეზიც ნაწილობრივ ქვეყანაში არსებული ეპიდსიტუაციაა.

განხორციელდა ხაშურის მუნიციპალიტეტში არსებული სამედიცინო დაწესებულებების მონიტორინგი.(იმუნიზაციის და ეპიდემიოლოგიური მდგომარეობის კონტროლი...)

ყოველთვიურად მიმდინარეობს თამბაქოს მოხმარების და თამბაქოს პროდუქტებით ვაჭრობის მონიტორინგი,ობიექტებში (სკოლა ,საჯარო დაწესებულაბა, ტრანსპორტი , სავაჭრო ქსელი და კაფე-რესტორნები) . დარღვევები ფიქსირდება სპეციალურ პროგრამაში.

რაც შეეხება კოვიდ -19 გავრცელებას; ჩვენს ცენტრში ჩატარდა-12959 ტესტირება(1510 პჯრ და 11439 ანტიგენით) . სულ რაიონში დავიქსირდა 7368 შემთვევა , გამოჯანმრთელდა 7357. ლეტალურად დამთავრდა--11 შემთხვევა. (გეგმიური ტესტირება უტარდებათ ყოველ 14 დღეში: პედაგოგებს, ბაღის აღმზრდელებს , შსს-ს თანამშრომლებს, სამედიცინო პერსონალს, ბავშვთა სახლების ბენეფიციარებს და პერსონალს , სასულიერო პირებს დაა.შ)

ვაქცინაცია მიმდინარეობდა ძირითადად ორ ლოკაციაზე: შპს ახალი კლინიკა და შპს სურამის სადაბო პოლიკლინიკა

2022 წელს სულ ჩატარდა 4174 ვაქცინაცია (1-839/2-1254/ბუსტ-2081)

- სინოფარმი--1272 (322/478/472)
- სინოვაკი--546 (140/209/197)
- ფაიზერი--2356 (377/569/1441)

დ.ჩიქოვანი,

„ხაშურის მუნიციპალიტეტის საზოგადოებროვი ჯანდაცვის ცემტრის“ დირექტორი

ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ნაცარგორაში მისასვლელი გზის მოწყობის სამუშაოები აქტიურ რეჟიმში ხორციელდება

ამ ეტაპზე მიმდინარეობს გზის მოშანდაკება და მოსწორება. უახლოეს პერიოდში დაიწყება გზის მოასფალტების სამუშაოებიც.

პროექტის ფარგლებში გათვალისწინებულია სანიაღვრეების მოწყობა და საგზაო ნიშნების დახაზვა-დამონტაჟება.

პროექტის განხორციელების შედეგად რეაბილიტირებული გზით 500-ზე მეტი ადგილობრივი და ვიზიტორი ისარგებლებს.

პროექტი გარდამავალია. იგი სახელმწიფოსა და ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით ხორციელდება. გზის რეაბილიტაციის სამუშაოების ღირებულება 1 595 594 ლარს შეადგენს.

ულუმბო

ფრაგმენტები სოფლის ისტორიიდან

(გაგრძელება. დასაწყისი №18,19,20,21,22,23,24)

რჩება ბორჯომის სავანის ხევი და სავანეთი. აქ ორი კოშკია შემორჩენილი ნანგრევების სახით, თუმცა ციხე არ ჩანს. მაგრამ აქედან თავისუფლად შეიძლება გადასვლა დასავლეთ საქართველოში.

ვფიქრობთ, ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, თემურ-ლენგის მიერ აღებულ სავანეთის ციხეში ბორჯომის სავანლის ხევი და სავანეთი უნდა იგულისხმებოდეს. მით უფრო, რომ ამის შემდეგ თემური სამცხეში ლაშქრობს. ამ შემთხვევაში კი მხოლოდ აქედან შეიძლებოდა თავისუფლად სამცხეში მოხვედრა.

1403 წლის ზაფხულში, თემურ-ლენგი მეერვედ მოადგა საქართველოს. ეს იყო მისი უკანასკნელი ლაშქრობა, რომელიც გვიან შემოდგომამდე გაგრძელდა და ერთობ დიდი ზარალი მოუტანა ხაშურის რაიონს.

ქვემო ქართლში მან დიდი ძალისხმევით აიღო ბირთვისის ციხე. ამის შემდეგ იქვე მოიწვია დიდი ყურულთაი და დასავლეთ საქართველოში ლაშქრობის გადაწყვეტილება მიიღეს.

თემურის ლაშქარი შიდა ქართლში შემოვიდა და ბანაკი გაშალეს. პროფ. კ. ტაბატაძის თანახმად, „ყველა ნიშნის მიხედვით თემურის ბანაკი ზემო ქართლის (გვიანდელი ზემო ქართლი უნდა ვიგულისხმოდ - თ.ლ.) იმ ნაწილში უნდა მდგარიყო, საიდანაც დასავლეთ საქართველოში გადასასვლელი გზების სათავეები იწყებოდა“. პროფ. კ. ტაბატაძე, ეხება რა დასავლეთ საქართველოში თემურის გადასვლის საკითხს, ყურადღებას ამახვილებს იმ გზებზე,რომელი გზებითაც ხდებოდა აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს შორის მიმოსვლა. ამასთან მიგვანიშნებს, თუ რომელი გზით უნდა ესარგებლა დამპყრობელს.

ქართლიდან დასავლეთ საქართველოში გადასასვლელად, - წერს მკვლევარი,- ძველთაგანვე არსებობდა რამდენიმე გზა. ერთი მათგანი ქვიშხეთ-ციხისძირით გადადიოდა, მეორე სურამიდან იწყებოდა და განშტოვდებოდა ორი მიმართულებით: ფონა-წიფა და დაჰყვებოდა ჩხერიმელას ხეობას; მეორე განშტოება კი მიემართებოდა რიკოთის გადასასვლელით და ძირულას ხეობის დაყოლებით. სამივე მიმართულება, საბოლოოდ შორაპანში იყრიდა თავს. მკვლევარი მიიჩნევს, რომ ამ გზით თემური არ ისარგებლებდა, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ მის ლაშქარს საშუალება არ ექნებოდა თავისუფლად ემოძრავა და წერს: „აღნიშნული გზები, გარდა იმისა, რომ ციხეებით იყო გამაგრებული (ჩხერის, ხარაგაულის, შორაპნის) თემურისთვის ხელსაყრელი ვერ იქნებოდა... საქმე ისაა, რომ თემურის ლაშქარს ყოველ ნაბიჯზე ჭირდებოდა საძოვრები საჯაბადრო ცხოველთა დიდი მასის გამო. ასეთი საძოვრები კი გზათა აღნიშნული მარშრუტების გასწვრივ არსად არსებობდა. პირიქით, ეს გზები გადიოდა ტყეებით დაბურულ ვიწროსა და ძნელად სავალ ადგილებზე და ოდნავი შეყოვნების შემთხვევაში დიდი სიძნელეები შეექმნებოდა თემურის ჯარს. გარდა ამისა,თემური სტრატეგიული მოსაზრებითაც ვერ შეიყვანდა თავის ჯარს ვიწროებში“

პროფ. კ. ტაბატაძე სხვა გზებზეც ამახვილებს ყურადღებას და მიუთითებს: „ქართლიდან იმერეთში არსებობდა სხვა გადასასვლელებიც. ერთი ფრონეს ხეობის აყოლებით პერანგას მთის გადავლით ჩავიდოდა ყვირილას ხეობაში, მეორე გადადიოდა ჯვრით და კორტოხით და ორი განშტოებით მიემართებოდა საჩხერისა და სვერისკენ, საიდანაც მივიდოდა ქუთაისს. დედაბერას გადასასვლელი გზა კი მონასტერს ულუმბას ჩაუვლიდა და შორაპანში მიდიოდა ღოდორა - ლიჩ - ამაშუკეთზე ჩავლით. ეს გადასასვლელები სამხედრო თვალსაზრისითაც გამოირჩეოდა. ისინი ნაკლებად მთა-გორიან ადგილებზე გადადიოდა. ამასთან მას საძოვრებად გამოსადეგი გაშლილი სერები და ხოდაბუნებიც ახლდა,რაც თემურისთვის მისაღები უნდა ყოფილიყო. პროფ. კ. ტაბატაძე ყურადღებას მიაქცევს იმ ფაქტს, რომ თურქსელ-ჩუკებმა 1068 წელს სწორედ ამ გზით ისარგებლეს დასავლეთ საქართველოში გადასვლის დროს. თემურმაც ამ გზით ისარგებლა, მაგრამ რომელი გზით? მკვლევარი ,ქუცნა ამირეჯიბის სიგელზე დაყრდნობით, აღნიშნავს, რომ დოკუმენტში „აშკარად ჩანს, ულუმბის მონასტრის მიდამოებში თემურის ჯარის გავლა“..

მართლაც, თემურ-ლენგს უნდა ესარგებლა დედაბერას გადასასვლელი გზით, რომელიც ულუმბის მონასტერს ჩაუვლიდა და ღოდორა-ლიჩი-ამაშუკეთზე გავლით შორაპანში შედიოდა.

ისტორიულ წყაროებში ამის შესახებ ცნობები არ მოგვეპოვება, მაგრამ ხელთ გვაქვს ქუცნა ამირეჯიბის ულუმბის მონასტრისათვის შეწირულობის სიგელი, რომელიც მიგვითითებს იმის შესახებ, რომ თემურ-ლენგი იმყოფებოდა ალის ხეობაში, დღეს, ჭერათხევის სახელითაა ცნობილი და აქედან დედაბერას გზით გადავიდა დასავლეთ საქართველოში. თემურმა ალის ხეობაც ისევე მოაოხრა, როგორც დანარჩენი საქართველო. აქაც დაანგრია და მიწასთან გაასწორა ციხეები და ეკლესიები, მოშალა ხეობის არაერთი სოფელი და გაჟლიტა მოსახლეობა. აი რას ამბობს ქუცნა ამირეჯიბი ულუმბის მონასტერზე: „...ოდეს უღმრთოსა დემურს სრულიად აღეოხრა და უმკვიდრო ექმნა საქართველო და წარეტყუენნეს ყოველნი მონასტერნი და უმეტესად ყოველთასა უდაბნო ესე თქუენი,რომელ საძირკველიცა არა დაშთომილ იყო“.

სიგელის ამ ამონარიდიდან კარგად ჩანს ის შედეგები, რაც თემურის ლაშქრობას მოჰყვა ალის ხეობაში. მან (თემურმა - თ.ლ.) ააოხრა და უმკვიდრო ქნა საქართველო,დაანგრია ეკლესია-მონასთრები,მაგრამ ეს მოსატანი არ არის ულუმბის მონასტერთან, რომლის საძირკველიც კი არ იყო დარჩენილი.

სიგელში სხვაგან ლაპარაკია „დემურისაგან მიწის სწორად გასწორებული ულუმბის ღმრთისმშობლის მონასტრის“ შესახებ.

ქუცნა ამირეჯიბი ულუმბის ღვთისმშობლის მონასტრისათვის შეწირულ სოფლებს - ღოდორას,ლიჩს,გოლისს,უწლევს,ბობოკინს,ბროლოსანს და აძვისს, ნაოხარ სოფლებს უწოდებს (იქვე), რაც კარგად მიგვანიშნებს თემურის არა მარტო საოცარ სისასტიკეზე, არამედ იმ გზაზეც, რომლითაც საგებლობდა იგი დასავლეთ საქართველოში გადასვლის დროს.

თემურის შემოსევის უტყუარი ნიშანი უნდა იყოს შემორჩენილი ტოპონიმი - ნაბახტევის ნაციხვარი,რომელიც ნაბახტევის დასავლეთით მდებარეობს. მასზე ლაპარაკობს ვახუშტი ბატონიშვილი, რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ მის დროს აქ ციხე აღარ მოქმედებს, მისი ნანგრევებია და ადგილსაც ამიტომ ნაციხვარს ეძახიან. აქ დაახლოებით ორ ჰექტარზე შემორჩენილია ციხის ნანგრევები, აქვე შეიმჩნევა რაღაც ნაგებობათა კვალი და რაც მთავარია, აქვეა ქუცნას აღდგენილი ნაბახტევის ეკლესია თანადროული კედლის მხატვრობის ფრაგმენტებით.

ამრიგად, თემურ-ლეენგი ულუმბოზე გავლით გადადის დასავლეთ საქართველოში, გზადაგზა ანადგურებს ყველაფერს. დასავლეთ საქართველოშიც იგივე მოქმედებას აქვს ადგილი - სპობდა და აჩანაგებდა ყველაფერს, აქ მან 700-მდე ობიექტი - სოფელი, ეკლესია-მონასტერი და სხვა გაანადგურა. აქ თემური გვიან შემოდგომამდე დარჩა.

მისი ინიციატივით,როგორც ირკვევა,ზავი დაიდო გიორგი VII - თან და ამის შემდეგ გადმოდის აღმოსავლეთ საქართველოში. ერთი სყურადღებო დეტალი: მიუხედავად ზავისა, იგი გზად მომავალი კვლავ ყველაფერს ანადგურებს და სპობს,თბილისში ჩასულმა მოსრა და მოინარიკლა ქალაქი და მისი შემოგარენი. ამის შემდეგ ყარაბაღისკენ წავიდა და სამარყანდში ჩავიდა.

დარჩა გაპარტახებული ამიერ და იმიერ საქართველო მოფენილი ნასოფლარებით,დანგრეული ეკლესია-მონასტრებით,აჩეხილი და გადამწვარი ბაღ-ვენახებით... სამეფო კარს დიდი ძალისხმევა ჭირდებოდა რათა აღედგინა ქვეყნის მშვიდობიანი ცხოვრება,მოეშენებინა გაპარტახებული სოფლები, გახიზნული ხალხი დაებრუნებინა თავანთ კერიებზე, ხელმეორედ აეშენებინა და აღედგინა მიწასთან გასწორებული ეკლესია-მონასტრები... ამ საქმიანობას ქუცნა ამირეჯიბის შვილიშვილი ალექსანდრე, შემდეგ დიდად წოდებული მოთავეობდა:

„და ამა ალექსანდრე მეფემან მატა სხუათა მეფეთა ქართლისათა სიკეთითა, რამეთუ იყო კაცი მეცნიერი და მოშიში ღმრთისა, და ელმოდა გული მოოხრებისათვის წმიდისა კათოლიკე ეკლესიისა, და არა ჰქონდა ღონე აღშენებისა, ამისთვის რომე ქუეყანა ლანგ - თემურისაგან მოოხრებული იყო, საუნჯე არღარა ჰქონდა. მოიპოვა ღონე ესევითარი და დასდვა იმერთა და ამერთა, ზემო ქართლსა და კახთა, კომლზედ ექუსი შაური. ყოველსა წელიწადსა ამა მალს გამოართმევდა და ამით იწყო შენებად მცხეთის და რუის ღმრთაებისა საყდრისა. და დაშურებოდა დიდად და ხანსა რაოდენსამე შინა აღასრულა და შეამკო ყოვლითა სამკაულითა. და სესწირნა სოფელნი და აგარაკნიიმერთა და ამერთა, ზემო ქართლსა და კახთა“.

ხაშურის რეგიონში, კერძოდ ალის ხეობაში, ასეთ საქმიანობა მისმა პაპამ ქუცნა ამირეჯიბმა გასწია... ქუცნა ამირეჯიბმა აღადგინა ულუმბის მონასტერი. მასვე უნდა აღედგინა ნაბახტევის ღვთისმშობლის ეკლესიაც და საერთოდ ალის ხეობა. სიგელში ქუცნა ერთგან მიუთითებს „აშენებული ალის“ შესახებ. საქართველოში თემურ-ლენგის შემოსევების კვალის ბოლომდე აღმოფხვრა ვერ მოხერხდა, რამაც ხელი შეუწყო საუკუნის ბოლოს საქართველოს დაშლას ცალკეულ სამეფო-სამთავროებად.

***

1403 წელს,თემურ-ლენგმა საქართველოში ბოლო ლაშქრობის დროს,დაარბია ულუმბის ღვთისმშობლის ეკლესია, რომელიც შემდეგ, როგორც ითქვა, ქუცნა ამირეჯიბმა აღადგინა:

„თქუენ, ყოვლადწმიდასა ულუმბისა ღმრთისმშობელსა მე, თქუენთა ცვა - ფარვათა სასოებით მვედრებელმან, ღმრთისა და მეფეთაგან დიდად შეწყალებულმან ამირეჯიბმან ქუცნამან ხელ-ვყავ შენებად უდაბნოსა ამის თქუენისა, მას ჟამსა,ოდეს უღმრთოსა დემურს სრულიად აღეოხრა და უმკვიდრო ექმნა საქართველო, და წარეტყუენნეს ყოველნი მონასტერნი და უმეტესად ყოველთასა უდაბნო ესე თქუენი, რომელ საძირკველიცა არ დაშთომილიყო. ამისთვისცა მიმდობილმან შეწევნითა შენთამან, დაღაცათუ უღირს გვიყავ, საქმედ ვიგულისმოდგინე შემართებად ახლად საძირკულის საფუძულის შთამდებისა, და შეკრებად გაბნეულისა და უხმარ ქმნილისა, ვინაიდგან მისმიოდა ძისა თქუენისა და მეუფისა და ღმრთისა ბრძანებათგან,ვითარმედ გლახაკმან ამან,უფროისა ამათ ყოველთასა, დადვა ფასის საცავსა ამას ზედა, და კუალად ვითარმედ სარწმუნეობამან შენმან გაცხოვნა შენა“.

ახლად აღდგენილ მონასტერს ქუცნა ამირეჯიბმა მთელი რიგი სოფლები და

გლეხები შესწირა: გამიღმა ალი ს(რულია)დ, ბაჟის მესამედი,
ორი კუამლი შიგ ალში ნასყიდი ურიები,
ალის თავს სრულბით უწლევი,
სრულობით ბობოკინი,
ბროლოსანი,
აძვისი,
სამი კუამლი ნაბახტევს, ორი კუამლი დუმაცხოს,
აძუისის წისქვლისათვის ფლეველთ თვითო კოდი პური, თვითო კოკა ღვინო სააღაპოდ, ორი კუამლი სტკოცას მხეიძისგ(ა)ნ მზითევს გარდაისად, წაღული ს(რულია)დ, ღოღეთი ს(რულია)დ, ს ა ღ უ ა ლ ა შ ე ნ ი ს(რულია)დ, ქვემო ბრეძა ს(რულია)დ, ფცული ღალა ათისთავი, გოგობასშვილმ(ა)ნ და კოკოასშვილმ(ა)ნ, ბეგარა რარიგათაც ნუსხაში ეწეროს, სამი კუამლი ზემო ბრეძას, ო რ ი ა ბ ა ნ ო ს , ორი ატუაცს, ერთის დღის სააღაპო პური და ღვინო ქალეთური. ერთი აღაპი მაღრაძემ უნდა გარდაიხადოს , ერთი კუამლი კაცი თავისთვის შემოწირული, ღოდორა, ლიჩი, გოლისი, ხეფინისხევი, რაც ნუსხაში ეწეროს-მუშაობა და აღაპი, ბუჯასა და ჯრუჭულას შუა რაცა სააღაპო გაგუეჩინოს, ასანიძე მამია და ჯანიბეგ უნდა მოვიდეს,კ(ათალიკო)ზის მცხეთის ჯ(უა)რსა და წ(ა)რვიდეს ულუმბისა ღ(მრთ)ისმშობლის მამამთავარი, აიღოს საეჯულო და სახუცო და დრამა.

თ. ლაცაბიძე

(გაგრძელება იქნება)

ნიკოლოზ აბაზაძის ეთნოგრაფიული წერილები

ხაშურის მუნიციპალიტეტის სამუზეუმო გაერთიანების ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმმა გამოსცა ქართველი ეთნოგრაფის ნიკოლოზ ლევანის ძე აბაზაძის „ ეთნოგრაფიული წერილები“, რომელიც გამოსაცემად მოამზადა და ბიოგრაფიული ნარკვევი დაურთო მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ფონდების მთავარმა მცველმა მზია ლობჟანიძემ. რედაქტორი,- სამუზეუმო გაერთიანების მმართველი თამაზ ლაცაბიძე

ნაშრომში წარმოდგენილია რუსულ პერიოდულ გამოცემებში დაბეჭდილი ორი ნაშრომი: „ხანულობა“ და „საოჯახო თემი ქართველებში“, სადაც საინტერესოდ არის განხილული ქართველთა თანაცხოვრების ისეთი მნიშვნელოვანი ფორმა, როგორიც არის საოჯახო თემი და ასევე, წველაში მოზიარეობის ტრადიცია.

ნიკოლოზ ლევანის ძე აბაზაძე დაიბადა სურამის მახლობლად სოფელ ზინდისში, 1863 წლის 14 აგვისტოს, აზნაურის ოჯახში, მამამისი ლევან აბაზაძე განათლებული და პროგრესული პიროვნება ყოფილა. იგი მსახურობდა ჯერ ბორჯომის სახაზინო მამულში, ხოლო შემდეგ ადმინისტრაციული თანამდებობები ეკავა გორის მაზრის სხვადასხვა ადგილებში. ლევან აბაზაძე 1966 წელს გადაიცვალა.

ნიკოლოზ აბაზაძის დედა -- მაგდანა ზაალის ასული ყიფიანი დიმიტრი ყიფიანის ნათესავი იყო. მან შეძლო, ოთხი შვილისათვის ისეთ სასწავლებლბში მიეცა განათლება, რომელიც იმ დროისათვის საუკეთესო იყო. ნიკოლოზი სწავლობდა ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში, ხოლო შემდეგ გადავიდა თბილისის კლასიკურ გიმნაზიაში, რომელიც 1884 წელს დაამთავრა.

1885-1890 წლებში იგი სწავლობდა მოსკოვის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე. გარდა იურიდიული მეცნიერებისა, ნიკოლოზ აბაზაძე მრავალმხრივი ინტერესების მქონე პიროვნება იყო, მათ შორის ანთროპოლოგიითა და ეთნოგრაფიით იყო დაინტერესებული

1890 წლის 8 მაისს ნიკოლოზ აბაზაძეს გაუკეთებია მოხსენება „ქართულ საოჯახო თემზე“, რომელსაც ფურორი მოუხდენია მეცნიერულ საზოგადოებასა და სტუდენტებს შორის. მოხსენებას დიდი გამოხმაურება ჰქონდა პრესაში, მათ შორის, გაზეთ „ივერიაში“ დაიბეჭდა ვრცელი სტატია.

ნიკოლოზ აბაზაძის სტატია დაიბეჭდა მოსკოვის პოლიტექნიკურ ინსტიტუტთან არსებულ ჟურნალში--- „ეთნოგრაფიული მიმოხილვა“, ხოლო მოგვიანებით მოთავსდა გერმანულად გადათარგმნილი ჟურნალის ერთ--ერთ ნომერში, ხოლო შემდეგ ამონაწერი გამოდგა მასალად ბროკჰაუზისა და ეფრონის ენციკლოპედიური ლექსიკონისათვის სტატიებში „ქართველები“ და „საქართველო“

მოგვიანებით ჟურნალში დაიბეჭდა ნიკოლოზ აბაზაძის მეორე სტატია „ხანულობა“. 1889 წელს ნიკოლოზ აბაზაძე აირჩიეს ანთროპოლოგიის და ეთნოგრაფიის მოყვარულთა საზოგადოების წევრ--კორესპონდენტად.

ნიკოლოზ აბაზაძე მთელი საქართველოს ტერიტორიაზე აგროვებდა სახალხო თქმულებებს, ლეგენდებს, ლექსებს, ზღაპრებს და აქვეყნებდა მათ პრესაში

1891 წელს, უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, ნკოლოზ აბაზაძე საქართველოში დაბრუნდა და იმავე წელს დაიკავა თბილისის საოლქო სასამართლოში მოსამართლის თანამდებობა. შემდეგ კი გადადის სურამში საგამომძიებლო განყოფილების თანამშრომლად..

მასშემდეგ, რაც სურამში დამკვიდრდა საცხოვრებლად, განაახლა და ახალ სიმაღლეზე აიყვანა აბაზაძეების ოჯახის ის ტრადიციები, რაც ნათესაური ურთიერთობების განვითარებასა და გაღრმავებაში მდგომარეობდა. თავად წარჩინებული აბაზაძეების გვარის ოჯახს საინტერესო ურთიერთობები ჰქონდა ისეთ წარჩინებულ გვარებთან, როგორებიც იყვნენ; ყიფიანები, ყარანგოზაშვილები, ამილახვრები, ავალიშვილები, მუატები, შალიგინები.

ნიკოლოზ აბაზაძის ოჯახი ცხოვრობდა ზინდისში, საბჭოთა ხელისუფლებამ გააკულაკა , თუმცა შემდეგში განკულაკება მოუხსნა. მათ სახლში სხვადასხვა ორგანიზაცია იყო განთავსებული, 1952 წლიდან კი ფუნქციონირებს ლესია უკრაინკას სახლ--მუზეუმი და ბიბლიოთეკა. ხოლო მამული აბაზაძეებმა გაყიდეს ადგილობრივ გლეხებზე.

ნიკოლოზ აბაზაძე გარდაიცვალა 1931 წლის 1ოქტომბერს, დაკრძალულია სოფელ ურთხვაში. როგორც აღვნიშნეთ, აბაზაძის ნაშრომები მოიძია და თარგმნა მუზეუმის ფონდების მცველმა მზია ლობჟანიძემ. მას მნიშვნელოვანი კვლევა ჩაატარა ამ მიმართულებით რისთვისაც საჭირო გახდა რუსეთის ფედერაციის სხვადასხვა სამეცნიერო დაწესებულებების ელექტრონული მონაცემთა ბაზის გაცნობა.

ნაშრომი „საოჯახო თემი საქართველოში“ ეხება ქართველებში უძველესი დროიდან არსებულ თანაცხოვრების ფორმას, რომელიც მეცხრამეტე საუკუნის ბოლოსათვის კიდევ გვხვდებოდა. ძველი წყაროები გვამცნობს, რომ ქართველები ცხოვრობდნენ „მამა სახლობით“, ანუ პატრიარქალურად გვაროვნულ თემებად, დიდ ოჯახებად ერთ სახლში, „დარბაზში“, სადაც ერთდროულად მცხოვრებ ადამიანთა რაოდენობა 50 მდე შეიძლება ყოფილიყო.

„დარბაზი“ წარმოადგენდა ქვის ან ხის უზარმაზარი მოცულობის ქოხს,დიდი ოჯახი ერთად ცხოვრობდა ერთ-ერთ ოთახში, თუმცა თემს ჰქონდა სხვა შენობაც, აქ მათ ეძინათ, ამზადებდნენ საჭმელს, სადილობდნენ და ა. შ.ერთად ცხოვრების ასეთი ფორმის უპირატესობა აიხსნებოდა იმით, რომ ამით აღმოიფხვრებოდა ოჯახის საერთო დოვლათის დამალვის შესაძლებლობა, ასევე ერთმანეთის თვალწინ ცხოვრება აფერხებს განხეთქილებას, ჭორებსა და სიზარმაცეს ოჯახის ცალკეულ წევრებს შორის.

ასეთი ოჯახი იმართებოდა უხუცესების მიერ, როგორც მამაკაცების, ისე დედაკაცების მხრიდან. უხუცესი მამაკაცი აწესრიგებდა თემის შიდა საქმეებს, ხოლო უხუცესი ქალი „დიასახლისი“ განაგებდა ოჯახის შიდა საქმეებს.

უხუცესებს ირჩევდა ოჯახის ყველა სრულწლოვანი წევრი, სქესის და ოჯახში მდგომარეობის მიუხედავად სახლის უხუცესებად ირჩევდნენ თემის ყველა სრულწლოვანი წევრიდან ყველაზე შრომისმისმოყვარე, საქმიან, გონიერ პირებს, რომლებიც სარგებლობდნენ პატივისცემით და კეთილშობილი სახელით. ასაკი არ იყო გადამწყვეტი, ოჯახის უფროსად შეიძლება არჩეულიყო ახალგაზრდაც, თუ მას ჰქონდა საჭირო თვისებები, ასევე დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა წიგნიერებასაც, რაც ზოგ შემთხვევაში გადამწყვეტადაც ითვლებოდა.

ოჯახის უფროსს ირჩევდნენ სამიდღემჩიოდ, მაგრამ ეს არ ნიშნავდა, რომ ის შეუცვლელი იყო იმ შემთხვევაში თუ უფროსი თავის თანამდებობას აშკარად ბოროტად გამოიყენებდა , ან მიზეზის გამო აღარ შეეძლო თავისი მოვალეობის შესრულება. ასეთივე წესი არსებობდა „თავი ქალთან“ მიმართებაში. თავი ქალის გარდა არსებობდა ასევე „დიასახლისის“ ინსტიტუტიც, დიასახლისი ინიშნებოდა კონკრეტული საქმის შესასრულებლად გარკვეული ვადით.

ოჯახს უხუცესის სახელის მიხედვით არქმევდნენ სახელებს, მაგალითად თუ ოჯახის უფროსს ერქვა პეტრე ოჯახსაც ერქვა „პეტიკაანთი“, ოჯახის ასეთი სახელით მოხსენიება დღემდეა შემორჩენილი სოფლებში.

ასეთი გაუყოფელი ოჯახების არსებობას ავტორი ხსნის, ერთი მხრი, ქართველთა რელიგიური წარმოდგენებით, მეორეს მხრივ, ეკონომიკური პირობებით, რადგან ასე უფრო იოლი იყო სამიწათმოქმედო მეურნეობის წარმოება.

ოჯახის ასეთი ორგანიზაციის სარგებლიანობას მხარს უჭერდა საქართველოს მთავრობაც, რომელიც ცდილობდა ხელი შეეშალა დიდი ოჯახების დაშლისათვის. რადგან მთელი ქონება, როგორც მოძრავი, ასევე უძრავი ითვლებოდა საერთო საკუთრებად, მისი წევრებიდან არავის არ გააჩნდა პირადი საკუთრება. გამონაკლისს წარმოადგენდა პატარძლის მზითევი, რომელიც მის ცალკე საკუთრებად ითვლებოდა, მას უფლება ჰქონდა გაემრავლებინა კიდევაც ეს ქონება თავისი უნარების და შრომის საშუალებით და არავის ჰქონდა უფლება ჩარეულიყო მის განკარგვაში.

ოჯახის „უფროსი კაცის“ კომპეტენციაში შედიოდა,- სამუშაოს განაწილება ოჯახის წევრებს შორის, ზრუნვა მომავალი თაობის განათლებაზე,იურიდიულ ურთიერთობებში შესვლა კომლის სახელით. გარკვეულ ეტაპზე იგი ასრულებდა მოსამართლის ფუნქციასაც ოჯახის წევრების მიმართ, შემდეგში მოსამართლის ფუნქცია თანდათან გაუქმდა და ოჯახის უფროსი დადანშაულებულ წევრს არიგებდა და შენიშვნას აძლევდა.

„უფროსი კაცის“ შემდეგ, ოჯახში უფრო მეტი გავლენით სარგებლობდა „უფროსი ქალი’, რომლის მოვალეობაში შედიოდა ოჯახის შიდა წესრიგზე ზრუნვა.

მეცხრამეტე საუკუნის ბოლოსათვის დიდი საოჯახო თემები იშვიათად იყო შემორჩენილი - უფრო ცენტრიდან დაშორებულ რეგიონების გლეხებში, ხოლო თავადაზნაურობაში საერთოდ იყო გამქრალი. ეს გამოიწვია ახალმა პოლიტიკურმა და სამეურნეო სიტუაციამ, თუმცა ავტორი, დასკვნის სახით, აღნიშნავს, რომ დიდი ქართული ოჯახი სარგებლობდა უფრო დიდი შემოსავლით, ვიდრე ახლად წარმოქმნილი პატარა ოჯახი, მეურნეობის ასეთი ორგანიზაცია, სადაც ეს შესაძლებელია, სასარგებლოა გლეხებისათვის.

მეორე ნაშრომი, რომელიც წიგნშია წარმოდგენილი, შეეხება რძეში მოზიარეობის ჩვეულებას ქართველ გლეხებში, იგივე „ხანულობა“.

ქართლში უძველესი დროიდან ქალებს შორის არსებობდა ჩვეულება, რომელსაც „ხანულობა“ ჰქვია.

„ხანული“ ჰქვია ქალს, რომელიც შედის მეზობელთან ურთიერთობაში რძის პროდუქტების წარმოების მიზნით, რძის დაგროვების საშუალებით. ასეთი მოლაპარაკება წარმოებდა ორ გლეხურ ოჯახს შორის, რომელთაგან თითოეულს ჰყავს ერთი ან იშვიათად, ორი ძროხა.

„ ხანულობა „ ხალხის შეხედულებით იყო რელიგიის მფარველობისა და დაცვის ქვეშ, ამიტომ ყველა წესი სრულდებოდა სუფთად და პატიოსნად. გარიგება წარმოებდა მხოლოდ ორი ოჯახის ქალებს შორის.

„ხანულობის“ შინაარსი შემდეგი იყო, ორი ქალი სიტყვიერი შეთანხმებით, დათქმული დროის განმავლობაში, ჩვეულებრივ ერთი კვირით, მიუტანენ ერთმანეთს რძეს, რომელიც თითოეულმა ქალმა საკუთარი მეურნეობიდან მიიღო. აღსანიშნავია რომ უნდა მიეტანათ მთელი მონაწველი, ოჯახში არ უნდა დაეტოვბინათ არცერთი წვეთი.

შემუშავებული იყო რძის დარწყვის სისიტემა საწყაო ჯოხის „ ჭდის“ საშუალებით, მაგრამ მთავარი მაინც ის იყო რომ ეს ურთირთობა დამყარებული იყო პიროვნებისადმი ნდობაზე, მორალურ სისუფთავეზე და მხარეების კეთილსინდისიერებაზე.

წარმოდგენილი ნაშრომები საინტერესოა ქართველების ცხოვრების იმ წესების შესასწავლად, რომელიც ჩამოყალიბდა შუა საუკუნეებში. სადაც კარგად ჩანს ქართველების მიდგომები სხვადასხვა საკითხისადმი, როგორიცაა პატიოსნება, ურთიერთნდობა, ოჯახის მართვის ფორმა, უხუცესის არჩევის წესი, ურთიერთანგარიშვალდებულება და სხვა.

ასევე უნდა ითქვას, რომ ეს ნაშრომები მცირედია იმ მრავალ ეთნოგრაფიული შინაარსის ნაშრომთა შორის, რომელიც ინახება ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში და ელოდება გამომზეურებას.

დავით ჩადუნელი,
სამუზეუმო გაერთიანების წიგნადი ფონდის მცველი

„ასფურცელა“ - წიგნის ფესტივალი, რომელიც ტრადიციად იქცევა

მკითხველს, რამდენიმე დღის უკან, საბავშვო წიგნის ფესტივალ „ასფურცელას“ შესახებ ინფორმაცია გავუზიარეთ. ფესტივალს ქალაქი დიდი ინტერესითა და მოწონებით შეხვდა. „ასფურცელა“ ქალაქის ცენტრალურ მოედანზე - დიმიტრი ყიფიანის სახელობის სკვერში გაიმართა. საბავშვო ლიტერატურის მოყვარულებს მასპინძლობდნენ გამომცემლობები: „არტანუჯი“, „ინტელექტი“, „პალიტრა “, „მანდარინი“, „მახარობელი“. აქვე გაიმართა წიგნების გამოფენა გაყიდვა მნიშვნელოვანი ფასდაკლებით.

მთელი დღის განმავლობაში პატარა მკითხველებს ხვდებოდნენ საბავშვო მწერლები: ირმა მალაციძე, მურად მთვარელიძე, კლარა გელაშვილი, მარიამ წიკლაური, ნანიკო ბურდული, გივი ჩიღვინაძე, მარიამ გახელაძე,ნატო დავითაშვილი,ლელა გაბური,ლილი ალფაიძე, თეა თოფურია, ნინო ლომიძე, ნათია ჯანაშია.

დღეს კი, დიდი ინტერესიდან გამომდინარე, ფესტივალის



დაბადების შესახებ გიამბობთ. ხაშურის საბიბლიოთეკო გაერთიანების დირექტორი, კლარა გელაშვილი საბავშვო მწერლების ირმა მალაციძისა და ლელა ცუცქირიძის მიერ გაჟღერებული იდეის შესახებ იხსენებს:

- თქვენ გაინტერესებთ „ასფურცელას“ დაბადების ისტორია. მისი ჩანასახი წარმოიშვა შეხვედრიდან, რომელიც „ცოცოხალ წიგნებს“ ეხებოდა. პროექტის ფარგლებში ჩვენთან სტუმრად იყვნენ ირმა მალაციძე და ლელა ცუცქირიძე და აი, მაშინ, გააჟღერეს სურვილი, თუ ჩვენ თანადგომას გამოვუცხადებდით: ჩამოეყვანათ გამომცემლობები და ღონისძიება ჩაეტარებინათ. საკრებულოს თავმჯდომარე, ქალბატონი ნინო, ფიქრდება ამაზე და თავად იდეას აწვდის მათ, რომ დაფუძნდეს ხაშურში ფესტივალი. რა თქმა უნდა, შეთანხმდნენ. სიხარულით შეხვდნენ წინადადებას. ასე დაიბადა იდეა და ამ იდეას ხორცი შეესხა როგორც იცით, 25 ივნისს. გადაწყდა, რომ ყოველი წლის ივნისის ბოლოს, შეიძლება რიცხვები არ დაემთხვეს ერთმანეთს, მაგრამ ყოველი წლის ივნისის ბოლოს ჩვენთან ჩატარდება წიგნის ფესტივალი „ასფურცელა“ .

- ფესტივალი წელს პირველად გაიმართა და ტრადიციად დამკვიდრდება, საინტერესოა ვინ იყო და ვინ იქნებიან მისი ორგანიზატორები?

- საბავშვო მწერლები ირმა ცუცქირიძე და ლელა მალაციძე, რა თქმა უნდა, მუნიციპალიტეტის მერიასთან და საკრებულოსთან ერთად.

- საინტერესოა, რომ პირველივე ფესტივალმა ასეთი დაინტერესება გამოიწვია მოსახლეობაში...

- დიახ, ასე იყო! „ცოცხალი წიგნები“ ძალიან მოსწონს საზოგადოებას...

- ქალბატონო კლარა, იქნებ „ცოცხალი წიგნებიც“ განვმარტოთ გაზეთის მკითხველისათვის, რას ნიშნავს?

- „ცოცხალი წიგნები“, - მკითხველი ეცნობა ცოცხლად ავტორს, ეს არის, ასე ვთქვათ, მოარული წიგნი. იცი წიგნი, გაინტერესებს, განსაკუთრებით ბავშვებში არის წარმოდგენები, თითქოს ავტორი არ არსებობს, ცოცხალი არ არის არცერთი ავტორი, მარტო წიგნია და ამ დროს ხედავენ, ეცნობიან ავტორს, სულ სხვა დამოკიდებულებაა და თითქოს სურვილიც კი უჩნდებათ, რომ მათაც დაწერონ რაიმე, რომ მათაც შეუძლიათ გახდნენ ავტორები. და ეს ფესტივალიც თითქმის იგივეა, რაც „ცოცხალი წიგნები“. ბევრად მეტი ავტორი ჩამოდის ერთად, მოდიან უკვე თავისი წიგნებით, გამომცემლობებით, იქვე შეგიძლია გაეცნო ავტორს, შეიძინო მისი წიგნი... ეს არის უნიკალური შემთხვევა ხაშურის კულტურული ისტორიისათვის. ხაშურს სტუმრობდნენ ავტორები: ნინო ლომიძე,ნატო დავითაშვილი, ლალი ალფაიძე, მარიამ წიკლაური, მარიამ წიკლაურის წიგნის გამფორმებელი მხატვარი ნანიკო ბურდული. ეს ავტორები ჩემთან ერთად სტუმრობდნენ სურამის ბიბლიოთეკას. აუდიტორიაში ჭარბობდნენ სკოლამდელი და სასკოლო ასაკის ბავშვები. ისინი თავდაპირველად ვერ აცნობიერებდნენ ცოცხალი ავტორის რაობას, მაგრამ როდესაც ავტორებმა ბავშვებს თავად შეახსენეს საკუთარი ნაწარმოებები, უნდა გენახათ მათი გაფართოებული, გაბრწყინებული თვალები. საბავშვო მწერლები, ვთვლი, რომ ყველაზე მეტად არიან ბავშვობაში ჩარჩენილები. ისინი ზუსტად ისე იქცეოდნენ, როგორც ბავშვები და ბავშვებისთვის ეს იყო ძალიან მისაღები. იყვნენ თამამი ბავშვები, რომლებმაც მოისურვეს მუსიკის ჩართვა და ავტორებთან ერთად ცეკვა, თავად ყვებოდნენ ზღაპრებს, უსმენდნენ დიდი ინტერესით, და ისეთი გარემო შეიქმნა, აღარც ჩვენ გვინდოდა წამოსვლა და აღარც ბავშვებს უნდოდათ შინ წასვლა. ძალიან ლამაზი დღე იყო და ვფიქრობ, არასოდეს დაავიწყდებათ პატარებს.

ულამაზესი დღე იყო,არაჩვეულებრივი დღე,თითქოს ბუნებამაც ხელი შეუწყო, რადგან პირველი ფესტივალი იყო. სტუმრები დაბრუნდნენ ზეგანწყობით. მათთვის მნიშვნელოვანი იყო მკითხველთან შეხვედრა. რადგან დამალული ავტორი არც ავტორისთვისაა სასურველი, და არც მკითხველითვის მით უფრო. როდესაც იცნობ დ ხედავ ავტორს, ბევრად უფრო გიჩნდება სურვილი შეიძინო მისი წიგნი, ავტოგრაფი სთხოვო მას...

- იცით რა გაჟღერდა იქვე? ირმა მალაციძემ გააჟღერა, რომ მომავალში ჩვენ უნდა ჩავიცვათ მაისური ჩვენივე სახელითა და გვარით, რომ მეტად მოხერხებული იყო ბავშვისათვის მის მიერ შეძენილი წიგნის ავტორის მოძებნა.

დასასრულს, კიდევ ერთხელ აღვნიშნავთ, რომ საბავშვო წიგნის ფესტივალ „ასფურცელას“ უმასპინძლა საბიბლიოთეკო გაერთიანებამ, ხაშურის საკრებულომ და პირადად საკრებულოს თავმჯდომარემ. ინტერვიუს ბოლოს, ქალბატონმა კლარამ ისურვა, უახლოეს მომავალში ბიბლიოთეკას ჰქონდეს საკუთარი შენობა. რომ ქალაქში წიგნის პოპულარიზაციისათვის საინტერესო და უფრო მაშტაბური ღონისძიებები ჩატარდეს.

თეა ახალკაცი

დასრულდა დაბა სურამში, იტრიის დასახლებასთან, სკვერის მოწყობა

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერის თენგიზ ჩიტიაშვილის განმარტებით, პროექტის ფარგლებში, დამონტაჟდა გარე განათებები, დასასვენებელი სკამები, ურნები, საბავშვო ატრაქციონები. მოეწყო ფანჩატური, მწვანე სივრცეები.

აღნიშნული სამუშაოები, სამოქალაქო ბიუჯეტირების პროგრამის ფარგლებში, სლოგანით „დაგეგმე შენი ბიუჯეტი“ განხორციელდა. პროგრამის მიზანია გაიზარდოს მოქალაქეთა ჩართულობა მუნიციპალური ბიუჯეტის დაგეგმვის ეტაპზე და მაქსიმალურად იყოს გათვალისწინებული მოსახლეობის ინტერესი.

პროექტი ადგილობრივმა ბიუჯეტმა დააფინანსა და ღირებულებამ 217 547 ლარი შეადგინა. სამუშაოები საპილოტე რეჟიმში, მუნიციპალიტეტის სამ ადმინისტრაციულ ერთეულში განხორციელდა და სამომავლოდ, ის უფრო მასშტაბური იქნება.

- ფეხბურთი -

დერევიანჩენკოების თითქმის საუკუნოვან ეპოპეას ღირსეული გამგრძელებელი ჰყავს

ჩვენს ქალაქში თითქმის არ მეგულება პიროვნება, რომელიც სათაურში გამოტანილ ამ გვარს იუცხოვებს, ან იტყვის რომ პირველად ესმის, თანაც მნიშვნელობა არ აქვს, რომელი თაობის წარმომადგენელს დაუსვამ ამ კითხვას. ეს გვარი ისე მჭიდროდაა დაკავშირებული ხაშურის სპორტთან, კონკრეტულად კი ფეხბურთთან, რომ ჩვენი საფეხბურთო კლუბის ისტორია წარმოუდგენელია მის გარეშე. ვიდრე ამ წერილს ჩავუჯდებოდი, ათასგვარი ინფორმაცია ვძებნე- სოცქსელებით თუ სპორტული ლიტერატურის დახმარებით და საქართველოში კი არა, მსოფლიო მასშტაბითაც ვერსად ვნახე, რომ ერთი ოჯახის ოთხი თაობა გოლკიპერი ყოფილიყო. ეპოპეას კი სათავე ვასილ დერევიანჩენკომ დაუდო, რომელიც ჯერ კიდევ გასული საუკუნის 30-იან წლებში იცავდა ხაშურის გუნდის კარს. შემდეგ ესტაფეტა გიორგიმ გადაიბარა, მას ბორისი მოჰყვა (დღესაც მოქმედი სპორტსმენი და „ივერიის“ კაპიტანი) და ბოლოს გიორგი - უმცროსი, რომელიც ჯერ სულ 11 წლისაა, მაგრამ სპეციალისტები ახლავე პროგნოზირებენ, რომ მას საოცარი კარიერა ელის. ვისაც ერთხელ მაინს უნახავს ეს ბავშვი „საქმეში“, ამ პროგნოზის ჭეშმარიტებაში შეუძლებელია ეჭვი შეიტანოს. მარტო მისი სტატისტიკაა საოცარი. თავი რომ, დავანებოთ უკვე მოპოვებულ ოთხ თასს და რვა მედალს (კიდევ ვიმეორებ: სულ 11 წლისაა), წლევანდელ ბავშვთა საქართველოს ჩემპიონატში რვა ტურია გოლი არ გაუშვია. ვინმეს შეიძლება წამოცდეს: საქართველოს ჩემპიონატი რა მოსატანიაო.... კი, ბატონო! სხვაც ვთქვათ: საფრანგეთში, საერთაშორისო ტურნირში, 11 თამაშში, მხოლოდ ერთი გოლი გაუტანეს. გავაგრძელოთ: გასულ წელს, ბათუმში, ასევე საერთაშორისო ტურნირში, რომელშიც დანიის, ლატვიის, ფინეთისა და შვედეთის გუნდებიც მონაწილეობდნენ, ტურნირის საუკეთესო მეკარედ დასახელდა. 9 წლისა იყო, როდესაც რუსთავის გუნდმა „ითხოვა“ და თერთმეტწლიანებთან ითამაშა „ბენდელას თასზე“. პირველ წელს ფინალამდე მიიყვანა გუნდი (ყველამ აღიარა, რომ სწორედ მისი დამსახურებით გავიდა გუნდი ფინალში). მეორე წელს კი ჩემპიონის თასიც ჩაიხუტა და საუკეთესო მეკარედაც დასახელდა. ახლა, პირობითად, შევკრათ მიღწევების ეს წრე და დავამატოთ: მასზე დაკვირვებას, საფრანგეთში თამაშის შემდეგ, უკვე უცხოელი სპეციალისტებიც აწარმოებენ და ეს ხდება, ვიმეორებთ, 11 წლის ბიჭუნაზე. მოკლედ, მართლაც საოცრებებს ახდენს ეს პატარა ვირტუოზი. ხაშურში მას შესანიშნავი სპეციალისტები - ვეფხია გელაშვილი და ბესო ვეშაპიძე (რა თქმა უნდა, მამაც) ავარჯიშებენ, თუმცა რუსთავი მუდამ იწვევს თავისთან და მის გარეშე ვეღარც წარმოუდგენიათ გუნდის არსებობა.

გიო მამასთან ერთად გვესტუმრა რედაქციაში,. დიდხანს ვისაუბრეთ, ისეთი საყვარელია, არ მეთმობოდა გაშვება. პატარა ეშმაკუნები დაურბის თვალებში და უბრალო გასაუბრებაც საკმარისია, რომ მიხვდე, როგორი მიზანმიმართულია. „ბარსელონა“ მისი საყვარელი გუნდია, მეკარეებში კი პირველ ადგილზე ტერშტეგენს აყენებს, თუმცა, ამ ბოლო დროს, მამარდაშვილიც „ესიმპატიურება“.

მოკლედ, კიდევ ერთხელ ვიტყვი: საოცარი თაობა ეზრდება ჩვენს „ივერიას“. დაიმახსოვრეთ ეს სახელი: გიორგი (უმცროსი) დერევიაჩენკო, რომელიც, ღრმად მწამს, თავის ოჯახის წინა თაობის ყველა სპორტულ მიღწევას ერთად გადაწონის. ეს წერილი კი ერთგვარი ავანსი იყოს ამ ბიჭუნასი. ავანსი იმ დიდ მის ოცნებამდე, როდესაც საქართველოს ნაკრებში თამაშით გაგვახარებს ყველას.

გ. გოგოლაძე

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერია ეხმაურება სოციალურ ქსელში გავრცელებულ ინფორმაციას სამუსიკო სკოლის მიმდებარე ტერიტორიაზე ხის გადაბელვის შესახებ.

პირველ ყოვლისა, გვსურს მკაფიოდ განვაცხადოთ, რომ ქალაქის იერსახეზე ზრუნვა, მოქალაქეთა მოსაზრებების გათვალისწინება და გადაწყვეტილებების შესაბამისად მიღება, უპირველეს ყოვლისა, მუნიციპალიტეტის ინტერესებშია.

ცალსახად არასწორია საწყის ეტაპზე გავრცელებული ინფორმაცია, რომ თითქოს ხე განადგურდა/მოიჭრა.

რაც ეხება ხის გადაბელვას, სამუშაო განხორციელდა ყველა წესის დაცვით და შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტების ჩართულობით.

როგორც ცნობილია, ტერიტორია, სადაც ხე გადაიბელა, ამჟამად რეაბილიტაციის პროცესშია. გამოქვეყნებულ ფოტოზეც შესამჩნევია, რომ პროექტით ხის შენარჩუნება გათვალისწინებულია.

გაცნობებთ,რომ მოედნის რეაბილიტაცია ითვალისწინებს განათების დამონტაჟებას და სხვა სამუშაოებს, რაც მომავალში ხის გადაბელვას გაცილებით გაართულებდა. ამასთანავე, ხის დაზიანებული ვარჯი სასწრაფო ჩარევას მოითხოვდა, რათა თავიდან აგვეცილებინა ხმელი ტოტების ჩამოცვენა და აქედან გამომდინარე შედეგები.

ხე ამ მომენტისთვის შენარჩუნებულია,არის ჯანსაღ მდგომარეობაში და არ გავა დიდი დრო, როცა იგი კვლავ პირვანდელ სახეს დაუბრუნდება და უფრო ჯანსაღი, მხარგაშლილი იშრიალებს და დაამშვენებს ჩვენს ქალაქს.

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე“. დირექტორი და გაზეთის რედაქტორი გიორგი გოგალაძე, მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27.
E-mail Khashurismoambe2015@gmail.com მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, სახაზინო კოდი: 749547499.
D-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში.